საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ და აღნიშნავს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ძირითადად გაითვალისწინა კომისიის შენიშვნები, რომლებიც აისახა ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში. აღნიშნული შეეხო:

- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში მოყვანას.
- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მნიშვნელოვანი თავის „შესრულებისა და ხარჯების აგრერირებული მაჩვენებელი“-ს მნიშვნელოვან დაზუსტებას.

2. კომისიის შენიშვნა პრიორიტეტების „ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“ - ქვეპროგრამების „სოფლის მეურნეობის განვითარება“ და „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა“- დაფინანსების გაზრდის შესახებ შენიშვნა არ იქნა გაზიარებული მერიის მიერ. ამასთან, მერიის ახსნა-განმარტება აღნიშნულის შესახებ მისაღებია, რადგანაც ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტი პირველად გაჩნდა ბიუჯეტში და იგი უთუოდ მოითხოვს დახვეწას. კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა სრული მზადყოფნა მერიის და საკრებულოს კომისიის წარმომადგენლების მიერ, რათა 2023 წელს გაგრძელდეს კონსულტაციები პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების სრულყოფისა და შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მაჩვენებლებით პროგრესულია და ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის ეფექტურ განვითარებაზე.

4. კომისიამ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებას.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი /ლ. ბიგვავა/